



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 163
24/01/2018

ქალაქი ბათუმი

163-05-4-201801241136



ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრისათვის შეძენილი ინვენტარის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა.ბაჟაშვილის 2018 წლის 12 იანვრის №105-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“-ს თხოვების ფორმით, გადაეცეს შეძენილი ინვენტარი საერთო ღირებულებით 133318 (ასოცდაცამეტათასსამასათვრამეტი) ლარი, თანახმად დანართისა.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ განყოფილებას (გიორგი ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) და ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრს მიღებული ქონების მიმართ ყოველწლიური საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სადაც მხარეს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა